ევროკავშირი
საქართველოსთვის

ასოცირების შესახებ შეთანხმების მონიტორინგი ტურიზმის მიმართულებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში

2024

ანგარიში მომზადებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის*" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

მონიტორინგის ანგარიშის მომზადებაზე მუშაობდნენ:

პროექტის კოორდინატორი: ანა მურუსიძე

ტურიზმის ექსპერტი: მურთაზ გურჩიანი

სარჩევი

შესავალი....4

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტურიზმის სექტორის მიმოხილვა 5

არსებული და პოტენციური ბიზნეს სფეროები და სექტორები რეგიონში სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებისთვის....7

ონის, ცაგერის, ლენტეხისა და ამროლაური მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ანალიზი 9

ტურიზმის სექტორში არსებული პრობლემების ნუსხა და ტურისტული გარემოს SWOT ანალიზი ...14

რეკომენდაციები 16

ბიბლიოგრაფია 17

შესავალი

ტურიზმის სექტორის მხარდაჭერა ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს იმ ვალდებულებებიდან, რაც საქართველოს ხელისუფლებამ იკისრა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგისა და სამოქმედო გეგმების, ამასთანავე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტების 2021-2023 განვითარების სტრატეგიის საფუძველზე.

ასოცირების შეთანხმების მე-9 თავის მიხედვით, საქართველო და ევროკავშირი იღებენ ვალდებულებას, რომ ითანამშრომლებენ ტურიზმის სფეროში კონკურენტული და მდგრადი ტურიზმის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და გაძლიერების, დასაქმებისა და საერთაშორისო გაცვლების ხელშემწყობი ინდუსტრიის განვითარების მიზნით. ეს ძალზედ ამბიციური განაცხადია და საჭიროებს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების კოორდინაციას.

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს ასოცირების შესახებ ხელშეკრულების განხორციელების მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას ტურიზმის მიმართულებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში და გვთავაზობს წინადადებებს გაუმჯობესების გზებთან დაკავშირებით.

ანგარიში გვაჩვენებს, რომ ტურიზმის მიმართულებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში განხორციელდა არაერთი პროექტი, თუმცა ასოცირების შესახებ ხელშეკრულებასა და შესაბამის დღის წესრიგში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სექტორში განხორციელებული პროექტების მასშტაბი არ არის საკმარისი და მათ არ შესწევთ უნარი, გაუმკლავდნენ შესაბამისი ინსტიტუციების წინაშე მდგომ გამოწვევებს.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტურიზმის სექტორის მიმოხილვა

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მიმზიდველი ბუნება, კლიმატური პირობები, მთის სუფთა ჰაერი, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების სიხშირე, კულტურული ძეგლების სიმრავლე, მინერალური წყლებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების სიუხვე ქმნის უნიკალურ პირობებს სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო და სამონადირეო ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის. რეგიონის კურორტებია შოვი (შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო სახელმწიფო ცდილობს რაჭაში შოვის მსგავსი ალტერნატიული კურორტის შექმნას), უწერა, ქვეშვაკე, სორტუანი, ხიდიკარი, ბუგეული, ლაშიჭალა, ძუღური, ახალჭალა, ზესხო, მუაში, სადაც ასამდე სამკურნალო-მინერალური და გოგირდოვანი წყალი მოიპოვება. რეგიონში ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა და ინვესტიციების ნაკლებობა. ამჟამად, რეგიონის კურორტების უმრავლესობის ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილია და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. რეგიონის კურორტებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ზემო რაჭის კურორტები, კლიმატისა და მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებით. შესაძლებელია კურორტ შოვის 18 სამთო-სათხილამურო კურორტად გარდაქმნა, რის შემდეგაც კურორტი შეძლებს დამსვენებელს წელიწადის ნებისმიერ დროს მოემსახუროს და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანოს. სამთო-სათხილამურო კურორტის მშენებლობისათვის შესანიშნავი პირობებია სოფ. შქმერშიც. ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილებია შაორისა და ლაჯანის წყალსაცავები. შაორის წყალსაცავი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ულამაზესი ადგილია, რომლის ირგვლივ გვხვდება უნიკალური ჯიშის ტყეები და კულტურულ-ისტორიული ძეგლები. შაორზე არსებობს პოტენციალი ყველა სეზონის ტურიზმის (მ.შ. სათხილამურო ტურიზმის)განვითარებისთვის. ამჟამად, რეგიონში ფუნქციონირებს რამდენიმე კომფორტული სასტუმრო (ამბროლაურში, ონში, ლენტეხსა და უწერაში). რეგიონში ძალზე სუსტად არის განვითარებული კვების ობიექტები. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები ფუნქციონირებს ოთხივე რეგიონში, თუმცა საკუთარი შენობა და ინფრასტრუქტურა მხოლოდ ცაგერისა და ამბროლაურის ტურიზმის ცენტრებს აქვთ, ლენტეხის ტურიზმის ცენტრი განთავსებულია მერიის შენობაში და მას ნაკლებად აქვთ შეხება მუნიციპალიტეტში ჩამოსულ ტურისტთან თუ შიდა ვიზიტორთან, ხოლო ონის ტურიზმის ცენტრი ნაქირავებ შენობაშია და მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ონის ტურიზმის ცენტრი აქტიურად არის ჩართული ონის

პოპულარიზაციაში, მათ ფეისბუქ გვერდზე ატვირთული ვიდეორგოლები, რომლებიც ონის პოპულარიზაციას ემსახურება დიდი გამოხმაურებით სარგებლობს, ასევე ონში მუშაობს ტურიზმის კლასტერი, მათ მოამზადეს ონის საიმიჯო ვიდეორგოლი და დაგეგმეს ინფო ტურიო ონში, ვფიქრობთ მსგავსი აქტივობები მნიშვნელოვანია რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის და მსგავსი ტენდენცია რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებშიც უნდა დაინერგოს.

რეგიონისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა ცენტრალური საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურ ფაზაშია , მაგალითად: შქმერი-საჩხერე თბილისი გზის დასრულების შემდეგ თბილისიდან რაჭაში დაახლოებით 3 საათიანი გზაა რაც 1.5 საათით ამოკლებს რაჭაში მოხვედრისთვის საჭირო დროს. და ასევე დაგეგმილია უშგულისა და ქუთაისი-ალპანა- მამისონის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომელთა დასრულების შემდეგ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი იქნება თბილისისა და სვანეთის, ქუთაისისა და სვანეთის დამაკავშირებელი გზა, ტურისტს ექნება საშუალება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის გავლითა და დათვალიერებით აღმოჩნდეს უშგულში უმოკლესი მარშრუტით. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ამბროლაურის აეროპორტი, სადაც კვირაში ორჯერ ხორციელდება ფრენები თბილისის მიმართულებით, ხოლო უახლოეს მომავალში დაემატება მესტიისა და თელავის ავიარეისები.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი განთავსების საშუალებების სტატისტიკის მიხედვით მეცხრე ადგილზეა (სულ 10 რეგიონი და დედაქალაქი), აქ 81 განთავსების ობიექტია, სადაც 567 ოთახი და 1613 საწოლია.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო სიახლეებისა რეგიონისთვის გამოწვევად რჩება ტურისტური ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი კადრების ნაკლებობა, პერსონალის დაბალი ანაზღაურება.

არსებული და პოტენციური ბიზნეს სფეროები და სექტორები რეგიონში სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებისთვის

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

არსებული ბიზნეს სფეროები და სექტორები

- მარნები
- საოჯახო მარნები
- მეფუტკრეობა
- მეღორეობა
- ლორის წარმოება

- სასტუმრო
- საოჯახო სასტუმრო
- რესტორანი
- მცირე კვების ობიექტი
- საკონდიტრო
- სილამაზის სალონი
- მცირე მარკეტები
- ავტოსამრეცხაო
- ავტო სახელოსნი
- საოჯახო ტექნიკის შეკეთება

პოტენციური ბიზნეს სფეროები და სექტორები

- ჩირის წარმოება (ტყის ნაყოფის შეგროვება)
- მერძევეობა
- ყველის წარმოება
- სამაცივრე მეურნეობა
- მებაღჩეობა
- მესაქონლეობა

- ტურისტული მომსახურება (საცხენოსნო ტურები, ველო ტურები, ჯომარდობა, ხალხურის რეწვის ნიმუშები, ალპინიზმი, სათევზაო ტური, ეთნო ტური, აფროსნობა, დელივერი სერვისი, მოქნილი სატრანსპორტო მომსახურება)
- კემპინგი

ონის მუნიციპალიტეტი

არსებული ბიზნეს სფეროები და სექტორები

- მეფუტკრეობა
- ლორის წარმოება
- მებაღჩეობა
- მეღორეობა
- თივის წარმოება
- რძის პროდუქტების წარმოება
- ვაშლის ძმრის წარმოება
- ხორცის წარმოება

- სასტუმროები
- საოჯახო სასტუმროები
- ხალხური რეწვა-თექის წარმოება
- სილამაზის სალონები
- კვების ობიექტები
- საკონდიტროები
- მცირე მარკეტები
- ავტოსამრეცხაო
- ტურისტული მომსახურება(ველო ტურები, სამთო ტურეები)
- საცხენოსნო ტურები

პოტენციური ბიზნეს სფეროები და სექტორები

- მეხილეობა
- ჩირის წარმოება (ტყის ხილის შეგროვება)
- სამაცივრე მეურნეობა

- ტურისტული მომსახურება (ჯომარდობა , ალპინიზმი, სათევზაო ტური, გასტრო ტურიზმი, დელივერი სერვისი, მოქნილი სატრანსპირტო მომსახურება, პილიგრიმული და სამედიცინო ტურიზმი,ეთნო ტურიზმი, გასტრო ტურიზმი, ექსტრემალურ-შემეცნებითი ტურიზმი)
- ავტო სახელოსნო
- საოჯახო ტექნიკის შეკეთება
- კემპინგი

ცაგერის მუნიციპალიტეტი

არსებული ბიზნეს სფეროები და სექტორები

- საოჯახო მარნები
- მევენახეობა
- თაფლის წარმოება
- ყველისა და რძის წარმოება
- ჩირის,ტყლაპის და ჩურჩხელის წარმოება
- ვაშლის ძმარი
- თევზის მეურნეობა
- მინერალური წყლის წარმოება
- მესაქონლეობა
- მეღორეობა
- ხორბლის წარმოება
- სანელებლებისა და საწებლების წარმოება
- ჩაის წარმოება

- საოჯახო სასტუმროები
- საცხობი/საკონდიტრო
- სილამაზის სალონი
- ავტოსამრეცხაო
- ხის საამქრო

პოტენციური ბიზნეს სფეროები და სექტორები

- მებაღჩეობა
- მეხილეობა
- სამაცივრე მეურნეობა

- აგროტურიზმი
- საცხენოსნო ტურიზმი
- ველო ტურიზმი
- გასტრო ტურიზმი
- ექსტრემალურ - შემეცნებითი ტურიზმი
- რესტორანი
- კვების ობიექტები
- ავტო შკეთება
- საოჯახო ტექნიკის შეკეთება
- კემპინგი

არსებული ბიზნეს სფეროები და სექტორები

- მესაქონლეობა
- მეღორეობა
- მეკარტოფილეობა
- მეფუტკრეობა
- ყველის წარმოება

- საოჯახო სასტუმრო
- ხალხური რეწვის ნიმუშების-თექის წარმოება
- სანელებლების წარმოება
- ეთნო ტურიზმი
- სილამაზის სალონი
- მცირე მარკეტები
- საცხობები
- კაფე/საკონდიტრო
- ავტო სამრეცხაო

პოტენციური ბიზნეს სფეროები და სექტორები

- მებაღჩეობა
- მეხილეობა
- ჩირის წარმოება(ტყის ნაყოფის შეგროვება)

- საცხენოსნო ტურიზმი
- ექსტრემალურ-შემეცნებითი ტურიზმი
- გასტრონომიული ტურიზმი
- სამთო ტურიზმი
- ალპინიზმი
- კემპინგი
- კაფე
- რესტორანი
- ავტო სახელოსნო
- საოჯახო ტექნიკის შეკეთება
- კემპინგი

ლენტეხის მუნიციპალიტეტი

ონის, ცაგერის, ლენტეხისა და ამროლაური მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ანალიზი

წარმოდგენილ დოკუმენტზე მუშაობის დროს, რეგიონის მუნიციპალიტეტებმა გადმოგვცეს 2021-2023 წლებში განხორციელებული და 2023 წლის ბოლომდე განსახორციელებელი იმ ინფრასტრუქტურული ობიექტების ნუსხა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

პროექტის დასახელება	ბიუჯეტი	დასრულება	შენიშვნა
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიმშში და სოფელ ბოსტანაში ხის ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები	9493.26	18.10.2021	დასრულებული
„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზნაკვაში ფანჩატურის და წყაროს მოწყობის სამუშაოები“.	16783.93	15.11.2021	დასრულებული
ქალაქ ამბროლაურში ,,ქვაბტკარი"-ს ტერიტორიაზე ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები	11814.85	02.01.2022	დასრულებული
ქალაქ ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარე სკვერის მოწყობის სამუშაოები	85711.69	24.10.2021	დასრულებული
ქალაქ ამბროლაურში კოსტავას ქუჩა N2-ის მიმდებარე სკვერის მოწყობის სამუშაოები	36054.06	28.09.2021	დასრულებული
ქალაქ ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები	4553220.66	09.12.2022	დასრულებული
სოფელ აბარში სკვერის მოწყობა	9980.00	04.08.2021	დასრულებული
„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 ერთეული წყაროს თვალის სარეაბილიტაციო სამუშაოები	131424.13	22.09.2022	დასრულებული
სოფელ ლიხეთში საბავშვო სკვერის კეთილმოწყობა	11953.40	10.08.2022	დასრულებული
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოტევში ნასხვეტას წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები.	257623.12	30.08.2023	დასრულებული
სოფელ წესში ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოს გალავანის, ტერიტორიის კეთილმოწყობის და სოფელ კვაცხუთში „ხიდიკრის კლდეკარის“ განათების მოწყობის სამუშაოები	368183.39	12.09. 2023	დასრულებული
სოფელ ველევში და სოფელ უყეშში ხის ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები	10957.16	02.09.2023	დასრულებული
სოფელ ნამანევში სკვერის მოწყობა	9999.71	27.08.2023	დასრულებული
სოფელ მეორე ტოლაში საბავშვო სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით	11988.75	20.08.2023	დასრულებული
სოფელ ურავში სკვერის კეთილმოწყობა	11995.59	21.08.2023	დასრულებული

სამუშაოს დასახელება	**დასრულების ვადა**	**ხელშეკრულები ს ღირებულება**	**შენიშვნა**
ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბარი-მრავალძლის (ეკლესიამდე მისასვლელი) გზის ასფალტირების სამუშაოები.	09.06.2021	2 240 001 ლარი	დასრულებულია
ადგილობრივი მნიშვნელობის პიპილეთი-ცხმორი-ფსორი-ბაჯიხევის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	02.06.2020	7 529 923.75 ლარი	დასრულებულია
ქ. ონში ბეერ-შევას სახელობის დასასვენებელი პარკის, მურმან ლებანიძის სანაპიროს, სააკაძის ქუჩისა და სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა თანმდევი ექსპერტირებით.	16.08.2020	59500 ლარი	დასრულებულია
ქ. ონის შემოსასვლელთან არსებული კედლის მოხატვა, სეზონური დეკორატიული პავილიონიების, ტურისტული აბრების, ბილიკებისა და ხიდებზე დეკორატიული განათებისა და საყვავილის მოწყობის სამუშაოები („Covid-19 პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემსუბუქება ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის გზით“ პროექტიდან). UNDP	01.05.2021	27 234 ლარი	მიმდინარე
ონის მუნიციპალიტეტის სოფ. მრავალძალში სარიტუალო (საქორწილო) ღია გადმოსახედის მოწყობის სამუშაოები	01.03.2022	37 372 ლარი	დასრულებულია
ონის ქუჩების კეთილმოწყობა	07.10.2021	1 494 000 ლარი	მიმდინარე
ონის ქ უჩების კეთილმოწყობა მე-3 ეტაპი	26.10.2021	442 412 ლარი	მიმდინარე
ონის ქუჩების კეთილმოწყობამე-2 ეტაპი	31.12.2021	452 043 ლარი	მიმდინარე
ონის მუნიციპალიტეტში ტურისტული ნიშნულების მოწყობა, მანიშნებელი აბრების QR კოდებით დამონტაჟება.	01.04.2022	19850 ლარი	მიმდინარე
სოფ.საკაოში სახაზოს მთისკენ ტურისტული ბილიკებისა და საკემპინგე ადგილების მოწყობა და სოფ.ღარში საჯვარემდე მისასვლელი გზა	26.12.22	232813.7 ლარი	დასრულებულია
ქ.ონის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების რეაბილიტაცია	30.07.22	844209 ლარი	მიმდინარე
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ. ონში, სოფლებში: ღებში, გლოლაში, ჭიორაში და კურორტ შოვში მინერალური წყლების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების მოწყობა	8.01.22	296088.49 ლარი	შეჩერებული

სამუშაოს დასახელება	**დასრულებ ის ვადა**	**ხელშეკრულების ღირებულება**	**შენიშვნა**
აგრარული ბაზრის მშენებლობა	12.06.2024	2300000 ლარი	მიმდინარეობს პირველი ეტაპი
ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორში მდებარე ორი ჩანჩქერისა და დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა(შესაბამისი ინფრასტრუქტურით), მისასვლელი გზის დაახლოებით 1.3კმ(ბეტონის საფარით) ჩანჩქერამე მისასვლელი ბილიკების(სახელურებით) დაახლოებით 0.5კმ. მდინარეზე გადასახედი ბაქანის, ღამის დეკორატიული განათების და შენათების, ფანჩატურებიშ დაახ 3 ცალი და დეკორატიული სკამების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება თანმდევი ექსპერტირებით	01.01.2024	40 000 ლარი	დასრულებულია
ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთი - ჟაშქვის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები (ცემენტ-რკინა-ბეტონი) (პირველი ნაწილი (500 მეტრი)).	10.02.2022	366 643.29	დასრულებულია
შიდასახელმწიფო მნიშვნელობის გზის უზუნთა-საჩხერე-შქმერი-ონის, შქმერი-ბოყვის მონაკვეთზე ადგილ „ქვაგახეთქილა“-სთან გადასახედის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურით), მისასვლელი ბილიკების, გადასახედი ბაქანის, ავტოპარკინგის, ღამის დეკორატული განათების და შენათების, ფანჩატურების და დეკორატიული სკამების მოწყობით, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის გათვალისწინებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება .	30.08.2023	20060 ლარი	დასრულებულია

ცაგერის მუნიციპალიტეტი

პროექტის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	სამუშაოების დასრულების თარიღი	შენიშვნა
ცაგერის მუნიციპალიტეტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები	14,332	2023	დასრულდა
ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე ტურისტული ცენტრის ეზოს შემოღობვისა და კეთილმოწყობის სამუშაოები	153757	2021	დასრულდა
ქვედა საირმის ბუნებრივ სვეტებთან, ძეგლებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.	393776	2022	დასრულდა
სოფელ ქვედა ღვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია.	400,406	2023	დასრულდა
სოფელ ისუნდერში ბუნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე - სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია.	361252	2023	დასრულდა
საირმის სვეტებთან მისასვლელ ბილიკებზე სავაჭრო ჯიხურების, სველი წერტილების და არსებული ბილიკის გასწვრივ მოაჯირების მოწყობის სამუშაოები.	146733	2024	მიმდინარე
ცაგერის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქულბაქი - მწვანე ტბის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 4 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები	3565430	2024	დასრულდა

ლენტეხის მუნიციპალიტეტი

N	**პროექტის დასახელება**	**ხელშეკრულების ღირებულება**	**სამუშაოების დასრულების თარიღი**	**შენიშვნა**
1	ლენტეხის მუნიციპალიტეტში, დაბა ლენტეხში მჟავე წყლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	1 20000	2021-2023	დასრულდა
2	ლენტეხის მუნიციპალიტეტში, კურორტ მუაშის მიმართულებით ბეტონის გზის მოწყობა	624 717,02	2023	დასრულდა

ტურიზმის სექტორში არსებული პრობლემების ნუსხა და ტურისტული გარემოს SWOT ანალიზი

რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორში დასაქმებულმა რესპოდენტებმა წარმოადგინეს, მათ სამოქმედო მუნიციპალიტეტში, ტურიზმის მიმართულებით არსებული გამოწვევები:

- გაზიფიცირება
- წყალმომარაგება
- სოფლების შიდა გზების მოუწესრიგებლობა
- კვების ობიექტების სიმცირე
- სოფლებში სასურსათო მარკეტების არ არსებობა
- მუნიციპალიტეტში გასართობი სივრცეების არ არსებობა
- ტურისტული ბილიკები არ არის მარკირებული
- სოფლებიდან მუნიციპალიტეტის ცენტრამდე და მუნიციპალიტეტებს შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობის სიმცირე
- საზოგადოებრივი საპირფარეშოების პრობლემა
- მომსახურების სფეროში კადრების სიმწირე
- საოჯახო სასტუმროების მომსახურების დაბალი ხარისხი
- კომპლექსური ტურისტული მომსახურების შეთავაზების-სხვადასხვა სფეროების სინერგიული თანამშრომლობის პრაქტიკის დანერგვა
- ნაკლებად არის განვითარებული გასტრო-ტურიზმი
- რეგიონის პოპულარიზაციის კომპლექსური და თანმიმდევრული გეგმა
- სამთო, საცხენოსნო, ველო ტურიზმის განსავითარებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ ქონა(საინფორმაციო ბანერები, ნიშნულები, სარეინჯერო სახლები, საკემპინგე ადგილები)
- საგამოფენო სივრცეების არარსებობა
- იურიდიულ პირებზე არ ვრცელდება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პირთა შესახებ კანონით გათვალისწინებული შეღავათები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ ბაზარზე კვების ობიექტების ან სხვა სეზონური ინფრასტრუქტურის მოწყობას. კომუნალური დანახარჯები იმდენად მაღალია ადგილობრივი ბიზნესი ვერ ახერხებს მოგებაზე მუშაობას სეზონის დახურვის შემდეგ, ამიტომ არახელსაყრელია ისეთი ობიექტების გახსნა რომლებიც 3 თვის შემდეგ უნდა დაიხუროს.

რეგიონის ტურისტული გარემოს SWOT ანალიზი

S–ძლიერი მხარეები:

- მრავალფეროვანი და მიმზიდველი ბუნება
- ასათვისებელი ბიზნეს ბაზარი
- მხოლოდ რეგიონისათვის დამახასიათებელი ენდემური პროდუქცია და ბრენდები
- აეროპორტი
- ბუნებრივი, კულტურული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების სიმრავლე
- უნიკალური სამკურნალო წიწვოვანი ტყეები და მინერალური წყლები

W–სუსტი მხარეები:

- ცნობიერების დაბალი დონე
- პროფესიული განათლების დაბალი დონე
- მცირერიცხოვანი სამომხმარებლო ბაზარი
- ბიზნესის სეზონურობა
- დაბალი მოტივაცია
- ფინანსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა

რეგიონის ტურისტული გარემოს SWOT ანალიზი

O–შესაძლებლობები

- ოთხ სეზონიანი სამთო–სათხილამურო კურორტის მოწყობისთვის შესაბამისი გარემო
- სახელმწიფო და საერთაშორიოსო ორგანიზაციების მიერ საგრანტო კომპონენტის გაძლიერება.
- ბიოწარმოების ნიშის დაკავება

T–საფრთხეები

- მზარდი მიგრაცია
- არასტაბილური პოლიტიკურ–ეკონომიკური გარემო
- სტიქია

რეკომენდაციები

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით ,რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი ბოლო ადგილზეა ტურისტებისა და შიდა ვიზიტორების რაოდენობით-0,2% .

შესამჩნევი ფაქტია, რომ როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ვიზიტორი სტუმრობს იმ ადგილებს სადაც გართობა, დასვენება, რეკრიაცია, ადგილობრივი სამზარეულო და სასმელია ხელმისაწვდომი.

2022 წელს უცხოელი ტურისტების მიერ საქართველოში დახარჯულმა თანხამ 10 მილიარდი ლარი შეადგინა და აქედან საკვებსა და სასმელში 33.2%, ხოლო განთავსებაში 33 % დაიხარჯა.

თუ გავითვალისწინებთ რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ადგილმდებარეობას, სიმწვანეს, სიგრილეს და მრავალ ბუნებრივ ძეგლს, ასევე ტრადიციული კერძების მრავალფეროვნებასა და ისეთი ბრენდების ქონას როგორიცაა ღვინო ხვანჭკარა, ღვინო უსახელაური და რაჭული ლორი, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე აღნიშნულ რეგიონს დიდი პოტენციალი აქვს ტურიზმის ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის.

- ტურიზმის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება
- კოორდინაციის ზრდა სტრატეგიის განხორცილების ხელშეწყობის მიზნით
- ყველა მუნიციპალიტეტის ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება
- ტურისტული საინფორმაციო ცენტრები როლის გაზრდა.
- ტურისტული ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა, მათ შორის: მარშრუტების მარკირება
- ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან სადემონსტრაციო დაფების მონტაჟი საოჯახო სასტუმრო სახლების განვითარების ხელშეწყობა
- განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის ნიშნულების სისტემა ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია
- ადგილობრივი პროდუქციის კომერციალიზაციის მიზნით ბაზრობებისა და სავაჭრო ადგილების მოწყობა/განახლება
- საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა გაზიფიცირება
- ინტერნეტი
- ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრალურ სოფლებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (მოედანი, სასურსათო მარკეტი, გასართობი სივრცეები)

ბიბლიოგრაფია

1. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია 2021-2023 წლებისთვის

3. ონის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია 2021-2023 წლებისთვის

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია 2021-2023 წლებისთვის

5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა.

6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - შიდა ვიზიტორების კვლევა.

7. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - განთავსების საშუალებები (2024წ).

8. ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს დადებული ასოცირების შეთანხმება - http://asocireba.ge/show_article.php?id=30